



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27. 2723118001

თარიღი:28/04/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 21

28 აპრილი 2023 წ.

ქ. თელავი

„თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრიწყლების საჯარო სკოლისათვის ვაჟა-ფშაველას სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194-ე ბრძანების მე-4¹ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა **თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრიწყლების საჯარო სკოლას მიენიჭოს ვაჟა-ფშაველას სახელი.**
2. საკრებულოს გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

